



ველური მცენარეების შეგროვება კავკასიაში -

FairWild - როგორც ალტერნატიული მენეჯმენტი და სავაჭრო მოდელი

ბუნებრივი რესურსები ხშირ შემთხვევაში არამდგრადად გამოიყენება. ამის მიზეზი კავკასიის ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და საკანონმდებლო სტრუქტურაში უნდა ვეძებოთ. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფლის მოსახლეობა სიღარიბეში ცხოვრობს და ადგილობრივი შემგროვებლები იძულებულნი არიან ბუნებაში შეგროვებული ველური მცენარეული რესურსები არა რაციონალურად გამოიყენონ. ველური მცენარეების შეგროვება პროფესია არ არის, იგი სეზონური სამუშაოა, თუმცა ბევრისთვის ამ გზით მიღებული შემოსავალი ძირითადი ან ერთადერთი საარსებო საშუალებაა მთელი წლის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში შემგროვებლები კონტრაქტის გარეშე მუშაობენ და სოციალური უსაფრთხოების ნორმებს არ ექვემდებარებიან. ეს გარემოება განაპირობებს ბუნებიდან შეგროვებული ველური პროდუქტებისა და მათი ჰაბიტატების არასათანადო შეფასებას, განსაკუთრებით, დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ.

ბუნებაში შეგროვებული ველური მცენარეების საერთაშორისო ბაზარი განუწყვეტლივ იზრდება და მას კავკასიური პროდუქტებისთვის

ალტერნატიული საბაზრო შესაძლებლობების შექმნის პოტენციალი აქვს:

კვების, ჯანმრთელობის დაცვის, სამკურნალო მცენარეებისა და მეზღობის სექტორში ბუნებიდან შეგროვებულ ველურ პროდუქტზე მზარდი მოთხოვნილებაა. მაღალი ხარისხის პროდუქტის მუდმივი მარაგის საჭიროების გამო საერთაშორისო ინდუსტრიის შესაბამისი დარგები ზეწოლის ქვეშ არიან. ამასთანავე, კომპანიებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი თავიანთი საქმიანობით გარემოს ზიანს არ აყენებენ. საბოლოო მომხმარებელი ეკოლოგიურად დასაბუთებულ და სამართლიანი სავაჭრო პირობების დაცვით შემოტანილ პროდუქტს ითხოვს.

GTZ (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობა) და მისი პარტნიორი ეკოლოგიური მარკეტინგის ინსტიტუტი (**Institute for Market-ecology**), გერმანიის მთავრობის დაფინანსებით, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებს “ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის” პროგრამის განხორციელებაში ეხმარებიან. პროგრამის კომპონენტი - ველური მცენარეების შეგროვება - მიზნად ისახავს:

- ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეგროვებული ველური მცენარეული პროდუქტებისთვის ღირებულების ჯაჭვის (value chain) დაარსების გზით. ეს ჯაჭვი იწყება შემგროვებლებით და მათი თემებით, შემდეგ რგოლს წარმოადგენს გადამამუშავებასა და ექსპორტში ჩართული მუშები და მთავრდება ეროვნული ან უცხოური ბაზრით. ღირებულების ჯაჭვი მოიცავს ყველა სავაჭრო პარტნიორს და იგი სამართლიანი და გამჭვირვალე უნდა იყოს.



საქართველოს ვარგოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო



● ველური მცენარეების შეგროვების მართვის სისტემის დაფუძნებას, რომელიც უზრუნველყოფს შეგროვების პროცესის გრძელვადიან მდგრადობას. ასევე უნდა შემუშავდეს მენეჯმენტის გეგმები, რათა განისაზღვროს მოსავლის მდგრადობის დონე და მეთოდები, რომელიც მუდმივად განმტკიცდება იმისათვის, რომ მონიტორინგი გააწიოს შეგროვების პროცესს.

● შეგროვების მდგრადი მართვის მეთოდის დაფუძნებას ნორმატიული აქტების ფარგლებში - ეს მეთოდი განსაზღვრავს თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ დაცული თუ დაუცველი ტერიტორიები იმისათვის, რომ გაგზარდოთ შემოსავლიანობა ველური მცენარეების მდგრადი გამოყენების გზით.

ყველა ქვეყანაში ადგილობრივი და რეგიონული მთავრობებისთვის ან კერძო დაინტერესებული მხარეებისთვის ხელშეწყობა დაგვეხმარება სტანდარტების დანერგვასა და ველური მცენარეების შეგროვების მდგრადი მეთოდის შემუშავებაში.

რატომ ჩაერთო IMO კავკასიის ველური მცენარეების შეგროვების საქმიანობაში?

IMO-ს ორგანული სერთიფიცირების და მდგრადი წარმოების პროდუქტის ხარისხის გარანტიის სტანდარტების შემუშავების 20 წლიანი გამოცდილება აქვს. მისი გამოყენება თავისუფლად შეიძლება ველური მცენარეების შეგროვების სექტორში. IMO-მ შექმნა "FairWild" სტანდარტი "FairWild Foundation" ფონდთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. მას ამ საქმიანობის

განხორციელებაში დიდი გამოცდილება აქვს. ამჟამად IMO ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია FairWild-ის - როგორც სერთიფიცირების სქემის შემოთავაზება.

ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განსახორციელებელი ქმედებებია:

● საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში შერჩეული ველური პროდუქციის ღირებულების ჯაჭვის შექმნა.

● სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის შემგროვებლების, მუშების, მენეჯერებისა და ექსპორტიორებისთვის, ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება. ტრენინგი ეროვნული კონსალტინგის ჯგუფებისა და სასერთიფიკაციო ორგანოების შესაქმნელად, რომლებიც პროექტის დასრულების შემდეგ დამოუკიდებლად გააგრძელებენ FairWild საქმიანობას.

● ადგილობრივი სპეციფიური მენეჯმენტის გეგმების შემუშავება რესურსების მომხმარებლებთან ერთად, სადაც განსაზღვრული იქნება შეგროვების მეთოდები, სისშირე და ლიმიტები. მომხმარებლებს ტრენინგი ჩაუტარდებათ რესურსების მართვაში, ასევე მენეჯმენტის გეგმებით სარგებლობასა და შედგენაში.

● ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა შემუშავებული სტანდარტების განვითარებაში, რომელიც უზრუნველყოფს შეგროვებული ველური მცენარეების რეგულირებასა და ინსტიტუციონალიზაციას.

როგორ შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება?

თუ თქვენი ორგანიზაცია მუშაობს ველური მცენარეების შეგროვების, გადამამუშავების ან ექსპორტის სფეროში, თქვენ შეგიძლიათ პროექტს შეუერთდეთ და წვლილი შეიტანოთ ღირებულების ჯაჭვის განვითარებაში.

თუ გსურთ მონაწილეობის მიღება, გთხოვთ, მოგვმართოთ.

პროდუქტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახეობის მცენარე, სოკო, ხავსი ან ხავსურა, სამედიცინო ან არომატული დანიშნულების, საკვებად ან საკვების ინგრედიენტად, სასმელად გამოსაყენებელი მცენარე, მებაღეობაში გამოსაყენებელი თესლი ან ბოლქვი. პროექტი არ მოიცავს კულტივირებულ მცენარეებს, სამერქნე ხეებსა და ცხოველურ პროდუქტებს.



Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა, სამხრეთ კავკასია
გულუას 6, მე-6 სართული
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995-32-201828

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური
გულუას 6, მე-6 სართული
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995-32-727231

ტექსტი: ჰეიკო შინდლერი
ფოტოები: © IMO, GTZ, როლფ შულცკე
დიზაინი: © GTZ
ბეჭდვა: პოლარის პრინტი, თბილისი